საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 760/01
01/02/2021

760-01-2-202102011727

შპს „მშენებელი 2020“-ის დირექტორს
ბატონ ლაშა ბარამიას
მის: ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ., N 161
ელ ფოსტა: LASHA_BARAMIA@mail.ru

ბატონო ლაშა,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 7 დეკემბრის N18939 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში, შპს „მშენებელი 2020“-ის სასარგებლო წიაღისეულის (სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) გადამუშავების პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 20 მეტრში მიედინება მდინარე ჯუმი. „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. ჯუმის წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 30 მეტრს, კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს, შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება მდ. ჯუმის წყალდაცვით ზოლში. ვინაიდან წყალდაცვით ზოლში მოქმედებს გარკვეული სახის აკრძალვები, გთხოვთ, წარმოადგინოთ ტერიტორიაზე გათვალისწინებული საპროექტო დანადგარების/ობიექტების GPS კოორდინატები და ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს სკოპინგის დასკვნა.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044